ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ლანჩხუთი

21.02.2025 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი გოგუაძე, ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების დაფინანსებაზე გამოიყო 1157811 ლარი. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 62936 ლარი და 76 თეთრი, ასახულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოების დაფინანსებაზე. ასევე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან

55936 ლარი ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს მოქალაქეთა ჩართულობით მოთხოვნილი სამუშაოების (ტექნიკის დაქირავება) დაფინანსებაზე.

მან ასევე განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით და მათში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების“ დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 506868 ლარი და 25 თეთრი ასახულია მუნიციპალიტეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფ:ჭინათში) წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 31366 ლარი და 87 თეთრი და 475501 ლარი და 38 თეთრი მუნიციპალიტეტში დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №1

ქ. ლანჩხუთი 21.02.2025 წელი

2025 წლის 21 თებერვალს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.02.2025 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 00	
2	ია მოქია	14:00	
3	გიორგი ჩახვაძე	14 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	14 00	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	13 50	
7	გიორგი გოგუაძე	13 50	
8	ვერიკო კვირკველია	14. 01	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	